მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები 2023

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

ძირითადი დონორები 2023

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წლის ოქტომბერში დაარსდა. „ელკანას“ მიზანია საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა მდგრადი ბიომეურნეობის განვითარებისა და სოფლად მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდის გზით.

„ელკანა“ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში საქმიანობს. დაარსების დღიდან ისეთი საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, როგორებიც არიან EU, Brot für die Welt, HEKS, DANIDA, ევროპის ფონდი, BP, WB, UNDP, GEF, SDC, FAO, KfW, WWF და სხვ., ორგანიზაციამ 100-ზე მეტი პროექტი განახორციელა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების, სოფლის ტურიზმისა და აგრო-ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით.

„ელკანა“ საქმიანობს შემდეგ სფეროებში:

- კონსულტაციები და ტრენინგები ბიოწარმოების დარგში;
- აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მათიმდგრადი გამოყენება;
- ბიოფერმერების და ფერმერთა ჯგუფების ბიზნესსაქმიანობის ხელშეწყობა;
- პროდუქტის განვითარება და პოპულარიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე;
- თემის მობილიზება და სოფლის განვითარება;
- სოფლად ტურიზმის განვითარება, ტრადიციული სურსათის, ღვინის წარმოებისა და გადამუშავების ხელშეწყობა;
- საზოგადოების ცოდნის ამაღლება ბიო-აგროწარმოებისა და ტრადიციული ჯიშების მნიშვნელობის შესახებ;
- ხარისხის შიდა კონტროლის სისტემების დანერგვა მწარმოებელთა ჯგუფებში (ბიოწარმოება, გეოგრაფიული აღნიშვნები);
- ფერმერთა უფლებების დაცვა.

ასოციაცია მთელ საქართველოში 2500-ზე მეტ მეურნესთან მუშაობს, მათ შორის: ფერმერთა ჯგუფებთან, ასოციაციებთან, კოოპერატივებთან, საწარმოებთან და სხვ. „ელკანა“ თანაბრად თანამშრომლობს როგორც მამაკაცებთან, ისე ქალებთან. ქალებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს არა მხოლოდ ორგანიზაციის დაფუძნებაში, არამედ მის შემდგომ განვითარებასა და მიმდინარე საქმიანობაშიც.

ორგანიზაციის სათავო ოფისი თბილისში მდებარეობს. მას აგრეთვე აქვს ოფისი ახალციხეში (სამცხე-ჯავახეთი) და წარმომადგენლობა სამეგრელოში (ზუგდიდი). გარდა ამისა, „ელკანა“ ორ საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობას მართავს: ხეხილისა და მარცვლეული კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანს“ სოფელ წნისში (სამცხე-ჯავახეთი) და შინაური ცხოველების ადგილობრივი ჯიშების საკონსერვაციო ფერმას სოფელ ზემო ხოდაშენში (კახეთი).



ადგილობრივი და საერთაშორისო ქსელები/მოძრაობები, რომლებშიც გაწევრიანებულია „ელკანა“



„ელკანას“ მიერ 2023 წელს განხორციელებული პროექტები

#	პროექტის სახელწოდება	ხანგრძლივობა	დონორ(ებ)ი
1.	ორგანული სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარებისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშეწყობა საქართველოში	იანვარი 2021 - ივნისი 2024	პური მსოფლიოსთვის, გერმანია
2.	ორგანული სოფლის მეურნეობისა და სოფლის ტურიზმის განვითარება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში	ოქტომბერი 2019 – მაისი 2024	ავსტრიის განვითარების სააგენტო
3.	ორგანული თხილის წარმოების ჯაჭვის განვითარება დამატებითი შემოსავლებისა და ღირსეული დასაქმებისათვის დასავლეთ საქართველოში	ივლისი 2018 - ივნისი 2024	დანიის განვითარების სააგენტო, ჰექს-ეპერი (შვეიცარია)
4.	თანამშრომლობა აგროსასურსათო ჯაჭვებში	ნოემბერი 2020 - ოქტომბერი 2023	კოვენტრის უნივერსიტეტი
5.	ტრანსსასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატგონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისთვის	ნოემბერი 2020- ნოემბერი 2023	ევროკავშირის ერთობლივი პროგრამა შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის
6.	იმერული მუხის საპილოტე აღდგენა აჯამეთის აღკვეთილში	სექტემბერი 2022 – ნოემბერი 2024	BP EXPLORATION
7.	ბიომრავალფეროვნების აღდგენა აჯამეთის აღკვეთილში	სექტემბერი 2023 – აგვისტო 2026	BP EXPLORATION
8.	SOLATIUM1: სამართლიანობისა და კეთილდღეობისთვის	მაისი 2023 – მარტი 2024	გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი (გიფ-თ)

მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები

ასოციაცია „ელკანას“ წევრთა VII საერთო კრება

2023 წლის 22 ივნისს გაიმართა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ წევრთა VII საერთო კრება, რომელსაც, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ესწრებოდა ასოციაციის 135 წევრი საქართველოს ყველა რეგიონიდან. დღეს ასოციაცია 458 წევრს აერთიანებს, რომელთა შორის არიან როგორც ინდივიდუალური აგროეკოლოგიური მწარმოებლები, ისე იურიდიული პირები - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ფერმერთა ასოციაციები, მცირე საწარმოები და სხვ. ამ გზით ასოციაცია „ელკანა“ პირდაპირ ან არაპირდაპირ 2,500-მდე მეურნეს ემსახურება მთელ საქართველოში.

ღონისძიების საჯარო სესიაზე დამსწრეებმა იმსჯელეს საქართველოს სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით, ბიო და აგროეკოლოგიური მეურნეების, წინაშე მდგარ პრობლემებზე და მიიღეს მიმართვა საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობისა და აგრარულ სექტორში მომუშავე საერთაშორისო დონორებისა და ორგანიზაციებისადმი. დახურულ სესიაზე „ელკანას“ წევრებმა მოისმინეს და დაამტკიცეს ორგანიზაციის დირექტორის მიერ წარმოდგენილი საანგარიშო პერიოდის ანგარიში. შემდეგ განიხილეს ა(ა)იპ ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ წესდებაში შესატანი ცვლილებები, რომლებიც ეფუძნება ცვლილებებს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში და სამოქალაქო კოდექსში, რომელთა მიხედვითაც ორგანიზაციებისადმი გაიზარდა გამჭვირვალობისა და მმართველობის დემოკრატიულობის მოთხოვნა. ამ ცვლილებებისა და „ელკანას“ საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავდა ასოციაცია „ელკანას“ წესდების ახალი რედაქცია, რომელიც დაამტკიცა საერთო კრებამ. საერთო კრებამ ასევე კენჭისყრით აირჩია ასოციაციის გამგეობის ახალი შემადგენლობა: თეო ურუშაძე, ია თაბაგარი, მამედ ჯაფარლი, ნათია მაჭარაშვილი, სოფიკო აბალოიძე, ნატალია მამაგულიშვილი, ავთანდილ ხუხუნაიშვილი, ანზორ მაისურაძე, გლახო ხარაიშვილი. გამგეობავ თავმჯდომარედ ნათია მაჭარაშვილი აირჩია.

ჯგუფური სერტიფიცირების სისტემა

■ მეთხილე ფერმერთა ასოციაცია „კავკასნათის“ პროდუქცია ჯგუფური ორგანული და სამართლიანი ვაჭრობის (Fairtrade) სერტიფიკატების მფლობელი გახდა!

CERTIFICATE

DOCUMENTARY EVIDENCE

The declared operator has submitted his activities under control, and meets the requirements laid down in mentioned standards. This certificate has been issued on the basis of GC "Standard for Production, Processing, Labelling and Marketing of Organically Produced Foods" (GC Standard), which is equivalent to the requirements of Regulations (EC) No 834/2007, No 889/2008, No 1235/2008; and corresponds to the Codex Alimentarius organic norms. CAUCASCERT Ltd is accredited by DAkkS, Germany.

1.Document Number: 2023-50

2.Operator : Association Caucasnut, #158, Rustaveli street, Darcheli, Zugdidi, Georgia

3.Certification Body: CAUCASCERT Ltd, 24, Yuri Gagarin Street, 5th floor, room 2, 0160 Tbilisi, Georgia

Registration Code of Operator: CC-A-206-04

CAUCASCERT Code number: GE - BIO - 117

Scope/s of certification: A Unprocessed plant products

4.Product/s, Product Group/s, Activity/Activities: Group certification of hazelnut producers.
- Major farm locations: Zugdidi, Tsalenjikha, Chkhorotsku and Vani areas (West Georgia).
- The number of the certified members: 306.
- The total certified hazelnut area: 481.2 ha.
- The total certified harvest – 563.1 tons.

Production according to the annex.

5.Defined as: Organic

6.Validity period: This document is valid for all herein after named products from 04.09.2023 until 09.09.2024

7.Dates of controls: Inspection of the ICS: 10-11.05.2023; Re-inspection of the members: 20-22.06.2023; Witness audit of internal inspectors: 12.05 and 20.06.2023.

Date of issue: 04.09.2023

CAUCASCERT Ltd
David Bedoshvili, Director

This document is Master Certificate. In case of Exports, it is the sole responsibility of Operator to obtain Certificate of Inspection from CAUCASCERT LLC before exporting.

GE – BIO -117

GC/DM/ CER-3.8 Developed NO, 20.04.15 Revised FA, 20.04.15 Approved ZN, 20.04.15

"CAUCASCERT" Ltd 24, Yuri Gagarin str. 5th floor, room 2, 0160 Tbilisi, Georgia

Tel/Fax: +995322380520 Mob: +995599568209

www.caucasert.ge

Number of original certificates: 2

მეთხილე ფერმერთა ასოციაცია „კავკასნათმა“, რომელსაც 2014 წლიდან ჯგუფური ბიოსერტიფიცირების სისტემა აქვს დანერგილი, 2023 წელსაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია - ასოციაციის 306 წევრმა ევროკავშირში აღიარებული ბიოსერტიფიკატი 563 ტონა თხილზე უკვე მიიღო.

FAIRTRADE

Fairtrade Certificate

Association Caucasnut

FLO ID 47844

is in compliance with the Fairtrade standards and FLOCERT certification requirements for the below scope:

Product(s): Nuts
For details on specific product type see appendix 2.

Scope: The appendices form part of the certificate:
Appendix 1: List of Fairtrade standards and FLOCERT certification requirements
Appendix 2: Product scope
Appendix 3: Entities part of the Fairtrade certification

Valid until: 18 Jan 2028

Address: Village Darcheli, 158 Shota Rustaveli Street, Zugdidi, 2114, Samegreio, Samegrelo-Zemo Svaneti, Georgia

18 Jan 2024
Issue Date

Katharina Wagner
Chief Executive Officer

FLOCERT assuring fairness

This certificate may only be amended by FLOCERT GmbH. Any unauthorised amendment will be invalid. All previous certificates are revoked by this issue. Please visit the Fairtrade Customer Search on www.flocert.net to retrieve information about the current validity and scope of this certificate. © FLOCERT GmbH · Bonner Talweg 177 · 53129 Bonn, Germany

1 | 4

წლეულს პირველად მეთხილე ფერმერთა ასოციაცია „კავკასნათმა“ წარმატებით გაიარა საერთაშორისო აუდიტი და სამართლიანი ვაჭრობის (Fairtrade) სერტიფიკატის მფლობელი გახდა. სერტიფიკატი მოქმედია 2028 წლის 18 იანვრამდე. ამ ეტაპზე ასოციაცია „კავკასნათს“ უკვე შეუძლია, თხილი Fairtrade-ის ნიშანდებით გაყიდოს. აღსანიშნავია, რომ „კავკასნათის“ მიერ წარმოებული თხილი მსოფლიო მასშტაბით პირველი პროდუქტია, რომელმაც თხილის მოყვანისა და გადამუშავების სამართლიანი ვაჭრობის (Fairtrade hazelnuts) საერთაშორისო სტანდარტი დააკმაყოფილა და შესაბამისი სტატუსიც მიიღო!

■ თხილის გასხვლა-ფორმირების სპეციალისტების მომზადება

ასოციაცია „ელკანამ“ სამეგრელოში თხილის გასხვლა-ფორმირების სპეციალისტები მოამზადა. კურსზე რეგისტრირებული იყო 12 მონაწილე, მათგან ექვსმა თეორიული და პრაქტიკული ნაწილი წარმატებით გაიარა. კურსდამთავრებულებმა ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში მუშა ჯგუფების შექმნა გადაწყვიტეს. თითოეული ჯგუფი, თანამონაწილეობის პრინციპის შესაბამისად, საჭირო ინვენტარით აღიჭურვა. რეგიონში მცხოვრები მეთხილე ფერმერები იანვრიდან სერტიფიცირებული სპეციალისტებისგან თხილის გასხვლა-ფორმირების საკითხში ხარისხიან სერვისს მიიღებენ.

■ სერტიფიცირებული კურსი - მემცენარეობის მეურნეობების ინსპექტირება ბიოსტანდარტის მიხედვით

რა

ასოციაცია „ელკანამ“, ზუგდიდის შოთა მესხიას სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, სამეგრელოს რეგიონში ჩაატარა სერტიფიცირებული კურსი შიდა კონტროლის სისტემის ინსპექტორებისათვის. ტრენინგს, რომელიც მოიცავდა 17 სალექციო დღეს - პრაქტიკულ სავარჯიშოებს, შუალედურ და საბოლოო ტესტირებას - 13 პირი დაესწრო. მათგან 3-მა უმაღლესი შეფასება მიიღო და ასოციაცია „კავკასნათის“ ინსპექტორად მუშაობს.

სად

სამეგრელო, ზუგდიდის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები

როდის

მარტი- აპრილი

■ ტრენინგკურსი ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციის წევრების, მენეჯმენტისა და შიგა ინსპექტორებისთვის

რა

ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტებმა ზემო აჭარაში ჩაატარეს 5-დღიანი ტრენინგ-კურსი ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციის წევრების, მენეჯმენტისა და შიგა ინსპექტორებისთვის. ტრენინგი მოიცავდა თაფლის ბიოწარმოების წესების, ჯგუფური ბიოსერტიფიცირების მოთხოვნების, შიგა ინსპექტირების პროცედურის, დოკუმენტაციისა და სისტემის მართვის საკითხების განხილვას; ასევე პრაქტიკულ ნაწილს - შიგა ინპექტორების

ვიტნესაუდიტსა და გაუფრთხილებელ ინსპექტირებას. ტრენინგ-კურსის თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს სულ 17 პირი დაესწრო.

სად
ზემო აჭარა, ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტები

როდის
30 ნოემბერი - 4 დეკემბერი

ტრენინგი აგროეკოლოგიისა და ბიომეურნეობის საკითხებზე

■ თანამშრომლობა ორგანული სოფლის მეურნეობის ასოციაციათან - Naturland e.V.

რა
2023 წელს ორგანული სოფლის მეურნეობის ასოციაცია „ელკანა“ თანამშრომლობდა Naturland - e.V. - ორგანული სოფლის მეურნეობის ასოციაციასთან პროექტის KVP Georgien-ის ფარგლებში, რომელსაც sequencing GmbH - გერმანიის ფედერალური სამინისტროს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (BMZ) პარტნიორული პროგრამების განმახორციელებელიო ორგანიზაცია, უჭერს მხარს. წლის განმავლობაში „ელკანას“ ექსპერტები აქტიურად მონაწილეობდნენ პროექტის აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ჩაერთნენ როგორც ონლაინ, ისე ადგილზე გამართულ სემინარებსა და ტრენინგებში, ასევე მონაწილეობდნენ ორგანული სოფლის მეურნეობისა და სამართლიანი ვაჭრობის (Fairtrade) შესახებ პოლიტიკური დიალოგებში. გარდა ამისა, „ელკანას“ სამი ექსპერტი ჩაერთო სამუშაო ჯგუფებში. მათი მიზანია მომზადდეს საქართველოს კონტექსტზე ადაპტირებული სწავლების მასალები შემდეგ თემებზე: ორგანული სოფლის მეურნეობა და სამართლიანი ვაჭრობის პრინციპები საქართველოში, ორგანული მევენახეობა და სამართლიანი ვაჭრობა, და ორგანული მეურნეობა და სამართლიანი ვაჭრობა მცირე საოჯახო მეურნეობებისთვის.

სად
ონლაინ კურსები, ექსპერტთა შეხვედრები და ტრენინგები საქართველოში

როდის
2023 წლის განმავლობაში

■ გაცნობითი სემინარი ახმეტაში - ორგანული სოფლის მეურნეობა და ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

რა
სემინარი ახმეტის მერიის შენობაში გაიმართა. სემინარს ესწრებოდნენ ადგილობრივი ფერმერები, სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონული სამსახურის, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები. სემინარის

მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაცია სოფლის განვითარების სააგენტოს ბიოწარმოების ხელშეწყობის

პროგრამის შესახებ, რომლის მიზანია საქართველოში ბიოწარმოებისა და ბიოპროდუქტების წარმოების ზრდის მხარდაჭერის უზრუნველყოფა. „ელკანას“ კონსულტანტებმა დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხეს და მათ კონსულტაცია გაუწიეს შესაბამისი დარგების მიხედვით.

სად
კახეთი, ქალაქი ახმეტა

როდის
7 თებერვალი

■ გაცნობითი სემინარები ახალციხეში - ორგანული სოფლის მეურნეობა და ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

რა
სემინარები „ელკანას“ ახალციხის რეგიონულ ოფისში გაიმართა. ახალციხეში ჩატარებულ ორ სემინარს ესწრებოდნენ ადგილობრივი ფერმერები, სოფლის განვითარების სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახურის, ასპინძის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურისა და საქართველოს ბიზნესის განვითარების

ცენტრ „კავკასიას“ ახალციხის ოფისის თანამშრომლები - სულ 45 პირი. სემინარების მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაცია სოფლის განვითარების სააგენტოს ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამის შესახებ, რომლის მიზანია საქართველოში ბიოწარმოებისა და ბიოპროდუქტების წარმოების ზრდის მხარდაჭერა. „ელკანას“ კონსულტანტებმა დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხეს და კონსულტაცია გაუწიეს შესაბამისი დარგების მიხედვით. პარკოსანი კულტურების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, რომელიც 10 თებერვალს აღინიშნება, სემინარების დამსწრეთათვის მოეწყო ადგილობრივი პარკოსანი კულტურების - მუხუდოს და ცულისპირას კერძების დეგუსტაცია.

სად
სამცხე-ჯავახეთი, ქალაქი ახალციხე

როდის
8-9 თებერვალი

■ ბოსტნეული, ბაღჩეული და მარცვლოვანი კულტურების თესლეულის გაცვლის დღე

რა

ასოციაცია „ელკანას“ ოფისში ჩატარდა ბოსტნეული, ბაღჩეული და მარცვლოვანი კულტურების თესლეულის გაცვლის დღე. ღონისძიებაზე მოსულმა სტუმრებმა გაცვალეს სხვადასხვა ბოსტნეული და მარცვლოვანი კულტურების თესლეული, გაიცნეს ფერმერები, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება და საქმიანი კონტაქტები დაამყარეს დარგის სპეციალისტებთან. „ელკანას“ ექსპერტებმა დამსწრეებს წარუდგინეს „მარცვლეულის კიდობნის“ გენბანკში დაცული ბიომეთოდებით მოყვანილი სამარცვლე პარკოსანი (ცულისპირა, მუხუდო, ცერცვი, ძაძა, ოსპი), ბაღჩეული (შავი გოგრა) და მარცვლოვანი კულტურების (ხორბალი, მახობელი, ღომი, სელი) თესლეული.

სად
თბილისი, „ელკანას“ ოფისი

როდის
16 მარტი

■ გამოცდილების გაზიარება - ორგანული სოფლის მეურნეობა და აგროეკოლოგია ინდოეთში

20 აპრილს „ელკანას“ ახალციხის რეგიონულ ოფისში ჩატარდა შეხვედრა სამხრეთ ინდოეთის, ორვილის საერთაშორისო თემის სოციალური მეწარმეობის ასოციაციის წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ფერმერების მონაწილეობით. შეხვედრაზე ორვილის საერთაშორისო თემის წარმომადგენლებმა მათი პროექტის ფარგლებში - „მწვანე აბრეშუმის გზა“ (GSR) - დამსწრე ფერმერებს გააცნეს ორვილის საერთაშორისო თემი და ორგანული სოფლის მეურნეობისა და აგროეკოლოგიის კუთხით გამოცდილება გაუზიარეს. გამოცდილების გაზიარება ორმხრივად წარიმართა და ადგილობრივმა ფერმერებმაც გააცნეს მათ თავიანთი საქმიანობის ასპექტები. ორვილის თემის წარმომადგენლებმა დამსწრეებს გაუზიარეს ინდოეთში გავრცელებული პარკოსნებისა და ბოსტნეული კულტურების მცირე რაოდენობით თესლი, რომელიც დაითესა „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობნის“ საკოლექციო ნაკვეთზე და შეხვედრაში მონაწილე ადგილობრივი ფერმერების ნაკვეთებზე. შეხვედრას დაესწრო 14 პირი, მათ შორის - 8 - ქალი.

■ ტრენინგი - ბიომეცხოველეობა და გეოგრაფიული აღნიშვნები

რა

ტრენინგი ბიომეცხოველეობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების თემაზე „ელკანას“ ახალციხის რეგიონულ ოფისში გაიმართა. ტრენინგს ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ახალციხის კოლეჯის, „ოპიზარის“ სტუდენტები და პედაგოგები, ასევე საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრ „კავკასიას“ ახალციხის ოფისის წარმომადგენლები - სულ 19 პირი, მათ შორის - 8 - ქალი.

სად

სამცხე-ჯავახეთი, ქალაქი ახალციხე

როდის

5 მაისი

■ ტრენინგი ბოლნისის სკოლის მოსწავლეებისა და მშობლებისათვის

რა

ასოციაცია „ელკანამ“ ბოლნისში, საქართველოს საპატრიარქოს წმ. იოანე ბოლნელის სახელობის სკოლაში ჩაატარა ტრენინგი მოსწავლეებისა და მშობლებისთვის თემაზე: კლიმატის ცვლილება, აგრარული ბიომრავალფეროვნება და კომპოსტის დამზადება. პედაგოგებმა და მოსწავლეებმა სკოლის ეზოში გააკეთეს პატარა ბოსტანი, სადაც მოჰყავთ პარკოსანი (ცულისპირა, მუხუდო) და ბოსტნეული კულტურები. მოსწავლეებმა დაიწყეს ნარჩენების დახარისხება და ამ ორგანული ნარჩენებისგან ამზადებენ კომპოსტს, რომელსაც იყენებენ ბოსტანში.

სად

ქვემო ქართლი, ქ. ბოლნისი

როდის

გაზაფხული

■ ტრენინგი - ხეხილოვანი კულტურების მყნობა

რა

ტრენინგი „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობანში“ ჩატარდა. მას ესწრებოდნენ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული დეკორატიული მებაღეობისა და ეკოლოგიის კოლეჯის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები და პედაგოგები, „ელკანას“ წევრი ფერმერები - სულ 21 პირი, მათ შორის - 11 ქალი. ტრენინგის მიზანი იყო ვაშლის ადგილობრივი ქართული ჯიშების პოპულარიზაცია, ხეხილოვანი კულტურების მყნობის ტექნოლოგიების გაცნობა როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად.

სად

სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი წნისი

როდის

11 აგვისტო

■ ტრენინგი და სასწავლო ტური თიანეთში

რა

ასოციაცია „ელკანამ“ თიანეთის, მცხეთის, დუშეთისა და ყაზბეგის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებისათვის დაბა თიანეთში ჩაატარა სასწავლო ტური და ტრენინგი - „ბიომებოსტნეობა, ძირითადი ბოსტნეული კულტურების წარმოების თავისებურებანი დახურულ გრუნტში, საჩითილე მეურნეობის მოწყობა და ორგანული სასუქის წარმოება“. ტურის ფარგლებში მონაწილეები დაბა თიანეთში მირზა სისაურს ეწვივნენ და დაათვალიერეს მისი სათბური, სადაც ფერმერს ორგანული მეთოდებით მოჰყავს კიტრი, პომიდორი, ტკბილი წიწაკა და ასევე გამოჰყავს ჩითილები. მირზა სისაურმა ვიზიტის მონაწილეებს გაუზიარა თავისი გამოცდილება დახურულ გრუნტში ბოსტნეულის მოყვანასთან დაკავშირებით. ამასთან, სტუმრებმა სოფელ ჟებოტაში მოინახულეს მამუკა ხუცურაულის ვერმიკომპოსტის ფერმა. ტრენინგს 9 მონაწილე დაესწრო - მათ შორის - 3 ქალი.

სად
მცხეთა-მთიანეთი, თიანეთის მუნიციპალიტეტი

როდის
10 აგვისტო

■ საინფორმაციო სემინარი - ორგანული სოფლის მეურნეობა და აგრარული ბიომრავალფეროვნება და ტრენინგი - კენკროვანი კულტურების გაშენება და მოვლა

რა

ასოციაცია „ელკანას“ და გორის მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტოსა და ააიპ მშვიდობის კვლევების ცენტრის თანამშრომლობით, სოფლად მცხოვრები ქალებისათვის გაიმართა 2 ტრენინგი - „ორგანული სოფლის მეურნეობა და აგრარული ბიომრავალფეროვნება“ და „კენკროვანი კულტურების გაშენება და მოვლა“. ამ ერთობლივ ინიციატივას საფუძვლად უდევს პროექტი „მედეგი ფერმერი ქალები ძლიერი და მშვიდობიანი საზოგადოებების ასაშენებლად“, რომელიც აერთიანებს 14 ქალს შიდა ქართლის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან. პროექტს ახორციელებს მშვიდობის კვლევების ცენტრი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, #EU4Dialogue პროგრამის ფარგლებში. ტრენინგს 17 მონაწილე დაესწრო - მათ შორის - 14 ქალი.

სად

შიდა ქართლი, ქ. გორი

როდის

27 ოქტომბერი, 15 ნოემბერი

სასოფლო-სამეურნეო მოდელები - თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

სასწავლო ტური რაჭაში

რა

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებისათვის „ელკანამ“ მოაწყო სასწავლო ტური რაჭის რეგიონში. ტურის მონაწილეები ეწვივნენ ქალაქ ამბროლაურში მდებარე თაფლის საწარმოს - „რაჭის ნატურალური პროდუქტები“ და გაეცნენ მუშაობის პროცესს. მეფუტკრეობის დარგის კონსულტანტმა ვახტანგ ღლონტმა ისაუბრა თაფლის წარმოების თანამედროვე გამოწვევებზე, ექსპორტის წესებსა და მნიშვნელობაზე. ცენტრის თანამშრომლები ასევე ეწვივნენ ქარხანა „გეო ფლაუერს“, რომლის ძირითადი საქმიანობა ბიოპროდუქტების წარმოებაა. საწარმოში ყოველგვარი ქიმიური დანამატების გარეშე აწარმოებენ ხილის ჩირს და სამკურნალო მცენარეებს - პროდუქციის უმეტესი ნაწილი ექსპორტზე გადის. სტუმრებს „გეო ფლაუერის“ წარმომადგენელმა უმასპინძლა, დაათვალიერებინა საწარმო და გაუზიარა თავისი გამოცდილება. სასწავლო ტურის ფარგლებში სტუმრები ქალაქ ონში ეწვივნენ ტრადიციული რეწვის სახელოსნო „ედენას“, სადაც ძველებური ტექნოლოგიებით აწარმოებენ რაჭულ სუვენირებს. საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლები ასევე ესტუმრნენ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზუდალში მცხოვრებ ფერმერს - ნიკა ყავლაშვილს, რომელიც ტრადიციული წესით ამზადებს რაჭულ ლორს.

სად

რაჭა, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტები

როდის

6-8 მარტი

მეფუტკრეების სასწავლო ტური გურიაში

2023 წლის 20-21 ივლისს სამცხე-ჯავახეთის მეფუტკრეთა ჯგუფის წევრები, რომლებიც დაინტერესებული არიან ფუტკრის შხამის წარმოებით, სასწავლო მიზნით იმყოფებოდნენ გურიაში, „ელკანას“ წევრი მეფუტკრეების - ვახტანგ ღლონტისა და ავთანდილ ხუხუნაშვილის საფუტკრე მეურნეობებში, სადაც დაათვალიერეს სკების დასამზადებელი საამქრო, თაფლის გადამამუშავებელი საწარმო, ასევე მონაწილეობა მიიღეს ფუტკრის შხამის აღებისა და მისი ჩამოფხეკა/დამუშავების პროცესებში. სასწავლო ტურის ფარგლებში მეფუტკრეებმა ასევე მოინახულეს

ჯიხეთის დედათა მონასტრის საფუტკრე მეურნეობა, სადაც ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს წარმოების სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

■ **ფერმერის დღე** - *საგაზაფხულო აგროტექნიკური სამუშაოების ჩატარება ხეხილის ბაღში*

რა

ფერმერის დღე, რომელიც ხეხილის ბაღში საგაზაფხულო აგროტექნიკური სამუშაოების ჩატარების საკითხებს მიეძღვნა, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ურაველში, დავით გოგსაძის მეურნეობაში გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, პედაგოგები და ადგილობრივი ფერმერები - სულ 24 პირი, მათ შორის - 5 ქალი. მონაწილეები, თეორიულ სწავლებასთან ერთად, გაეცნენ სხვლა-ფორმირების პრაქტიკას და ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს.

სად

სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ურაველი

როდის

22 მარტი

■ **სასწავლო ვიზიტი ავსტრიაში**

5-10 ივლისს „ელკანას“ თანამშრომლები და სოფლის ტურიზმში ჩართული ფერმერები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ავსტრიაში, მოსვიერტელის რეგიონში, სადაც შეხვდნენ ადგილობრივ ფერმერებს - ყველის, სიდრის, ტკბილეულის მწარმოებლებს, მოინახულეს აგროტურისტული მეურნეობები და საოჯახო სასტუმროები, მიიღეს სასარგებლო რჩევები და რეკომენდაციები. გარდა ამისა, სასწავლო ვიზიტის მონაწილეებმა დაათვალიერეს ეროვნული პარკი (Ötscher-Tormäuer Nature Park), ეწვივნენ ვიზიტორთა

ცენტრს - „ველური ბუნების სახლს“ (House of Wilderness), სადაც ადგილობრივმა გიდმა, თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, ვირტუალურად დაათვალიერებინა დაცული ტერიტორიის ფლორა და ფაუნა, ისაუბრა ტყეებისა და ზოგადად, მცენარეების მოვლა-შენარჩუნების მნიშვნელობაზე.

■ მარნის დღე კახეთში

რა

კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ შაშიანში, „ელკანას“ წევრის, ნიკოლოზ ბიწკინაშვილის მარანში „მართალი ღვინო“ (მასპინძელი - ნიკოლოზ ბიწკინაშვილი) ჩატარდა მარნის დღე, რომელსაც დაესწრნენ „ელკანას“ წევრი მევენახეები კახეთიდან, ქართლიდან და იმერეთიდან. „მართალი ღვინის“ მარნის მფლობელები ეწევიან ბიომევენახეობა-მეღვინეობას და მათი პროდუქცია ბიოსერტიფიკატისა და „ელკანას“ აგროეკოლოგიური ნიშნის მფლობელია.

ღონისძიების მონაწილეებმა დაათვალიერეს ახლად აშენებული მარანი, სარდაფი, ტურისტული სივრცე, ხოლო მეღვინემ სტუმრებს მარნის მოწყობისა და ღვინის დაყენების საკითხებში თავისი გამოცდილება გაუზიარა. მარნის დღეს 18 პირი დაესწრო.

სად

კახეთი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. შაშიანი

როდის

25 ნოემბერი

■ უცხოელი ჟურნალისტების ვიზიტი შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობაში



რა

„ელკანას“ შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობამ უცხოელ ჟურნალისტებსა და მიშლენის ვარსკვლავის მფლობელი რესტორნების შეფმზარეულებს უმასპინძლა, რომლებიც ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს რამდენიმე რეგიონს ეწვივნენ, გაეცნენ ქართული ღვინისა და გასტრონომიის კულტურას და საქართველოში ვიზიტის შესახებ ბელგიის ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნეს სტატიები. საკონსერვაციო მეურნეობა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხოდაშენში მდებარეობს. „ელკანას“ კონსულტანტმა სტუმრებს დაათვალიერებინა ფერმა და ქართული ადგილობრივი ჯიშები: ქართული მთის ძროხა, კახური ღორი, ქათმის ადგილობრივი პოპულაციები (მეგრულა, ნაცარა), ჯავახური ბატი და ადგილობრივი იხვი. სტუმრებმა ასევე მოინახულეს მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული პერმაკულტურის დიზაინი. შეხვედრა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა.

სად

კახეთი, სოფ. ზემო ხოდაშენი

როდის

3 ოქტომბერი

■ ხორბლის ადგილობრივი სახეობების პოპულარიზაცია

რა

ასოციაცია „ელკანამ“ ფეისბუკის ჯგუფთან - „ფქვილიანი ხელები“ - თანამშრომლობით ხორბლის ენდემური სახეობებისგან დამზადებული პურის დეგუსტაცია გამართა. ასოციაცია „ელკანამ“ სოციალური ჯგუფის წევრებს უსასყიდლოდ გადასცა ადგილობრივი ხორბლის ჯიშების ფქვილი და შეხვედრაზე, რომელიც „ელკანას“ ოფისში გაიმართა, მათ წარმოადგინეს საკუთარი ნახელავი. შეხვედრა-დეგუსტაციაზე „ფქვილიანი ხელების“ წევრებმა ისაუბრეს ცხობის გამოცდილებაზე,

„ელკანას“ ექსპერტებთან ერთად გასინჯეს და შეაფასეს მახას, ჩელტა ზანდურის, დიკას პური და იმსჯელეს თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებზე.

სად
თბილისი, „ელკანას“ ოფისი

როდის
24 ნოემბერი

■ ჟოლოს ნერგები „ელკანას“ წევრი ფერმერებისთვის

რა
ასოციაცია „ელკანამ “საკონსერვაციო მეურნეობა „მარცვლეულის კიდობნიდან“ ჟოლოს ერთწლიანი, სტანდარტული 2,950 ნერგი უსასყიდლოდ გადასცა ორგანიზაციის წევრ 43 ფერმერს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში - 1,500 ნერგი გადაეცა შიდა ქართლის რეგიონის საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრებ 22 ფერმერს, 430 ნერგი - 11 ფერმერს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

სად
სამცხე-ჯავახეთი, სოფელი წნისი და საქართველოს სხვა რეგიონები

როდის
29-30 ნოემბერი

■ იმერული მუხის აღდგენა აჯამეთის აღკვეთილში

„ელკანა“ მონაწილეობს იმერული მუხის (Quercus imeretina, Quercus robur subsp. Imeretina) აღდგენის ღონისძიებებში, რომელიც იმერეთში, აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორიაზე ტარდება. იმერული მუხა საქართველოს ენდემური სახეობაა, რომელიც საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შეტანილი. „ელკანას“ ექსპერტების მონაწილეობით ტყის განაპირა ზოლში 1.32 ჰექტარი ორი ნაკვეთი გაიწმინდა და შემოიღობა, სადაც 4,450 ძირი იმერული მუხის ნერგი უკვე დაირგო. გაიხარა 91%-მა, რაც კარგი მაჩვენებელია. ნარგაობას უვლიან და შესატყვის აგროღონისძიებებს უტარებენ. დამატებით გაიწმინდა 2 ჰა ტყის ფართობი, სადაც 2024 წელს დაირგო 6,600 ძირი იმერული და ქართული მუხის ნერგი.

ბიოპროდუქციისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

■ „ელკანას“ აგროეკოლოგიური ნიშანი

2019 წელს „ელკანამ“ ასოციაციის წევრი ფერმერებისთვის შეიმუშავა და დანერგა აგროეკოლოგიური ნიშნის მინიჭების სისტემა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს: „ელკანას“ წევრი ფერმერების პროდუქციის ბაზარზე დამკვიდრებასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას, საქართველოში ხარისხიანი პროდუქციის წარმოებასა და მომხმარებლის ინფორმირებას კონკრეტული პროდუქციის შესახებ. ეს სისტემა ევროკავშირის მინიმალურ რეგულაციებსა და აგროეკოლოგიურ პრინციპებს ეფუძნება. აგროეკოლოგიური ნიშანი ფერმერს ენიჭება ორგანიზაციის მიერ შემუშავებული შიდა კონტროლის სისტემის საფუძველზე, რომელიც მეურნეობის ინსპექტირებას გულისხმობს. 2023 წლის მონაცემებით, „ელკანას“ წევრებთან ჩატარებული ინსპექციის საფუძველზე, 53 მწარმოებლის პროდუქტი აგროეკოლოგიური ნიშნის მფლობელია.

„პურის ფესტივალი 2023“ სამცხე-ჯავახეთში

რა

„პურის ფესტივალი 2023“ ასოციაცია „ელკანამ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასთან და სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასთან (DMO) ერთად ჩაატარა. ღონისძიება მიზნად ისახავდა ხორბლის ადგილობრივი ჯიშების აღდგენა-პოპულარიზაციის ხელშეწყობას, ამ საქმიანობაში რაც შეიძლება მეტი ფერმერის ჩართვას და ადგილობრივი პროდუქტების გაყიდვა/გასაღების მოკლე თანამშრომლობითი ჯაჭვების წარმოჩენა-წახალისებას.

ფესტივალის სტუმრები გაეცნენ ხორბლის ენდემურ სახეობებსა და ადგილობრივ ჯიშებს, მათ მნიშვნელობასა და მოვლა-მოყვანის წესებს, დააგემოვნეს როგორც ადგილზე, ასევე ფერმერულ მეურნეობებსა და საცხობებში გამომცხვარი სხვადასხვა ხორბლის პური, ადგილობრივი პროდუქტები და სამცხე-ჯავახეთისთვის დამახასიათებელი ტრადიციული კერძები. ფესტივალზე ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქტების, ასევე ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ჩატარდა პურისა და მესხური კერძების მომზადების მასტერკლასები. ფესტივალის საგამოფენო სივრცეებში 60-მდე მწარმოებელმა - როგორც სამცხე-ჯავახეთიდან, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებიდან - წარმოადგინა ტრადიციული პროდუქტები და ხელნაკეთი ნივთები. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა კონცერტი ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით და ასევე ახალციხის თოჯინების სახელმწიფო თეატრის წარმოდგენა. ჩატარდა ვიქტორინა ხორბლის, პურის და რეგიონის ეთნოლოგიური ღირსშესანიშნაობების თემაზე, გამარჯვებულებს კი პრიზები გადაეცათ.

„პურის ფესტივალმა“ უმასპინძლა ფართო საზოგადოებას. სტუმრებს შორის იყვნენ ადგილობრივი და უცხოელი ტურისტები, საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამეცნიერო ინსტიტუტების, მედიის წარმომადგენლები, ტუროპერატორები, ტურისტები და სხვ. 2023 წელს „პურის ფესტივალის“ ერთ-ერთი თანადამფინანსებელი იყო რეგიონში მოქმედი კერძო სექტორის წარმომადგენელი - სასტუმრო „ახალციხე ინნ-ის“ ადმინისტრაცია. პურის ფესტივალის თანადაფინანსებით დაინტერესება ადგილობრივი ბიზნესის/ბიზნესების მხრიდან მნიშვნელოვანია ღონისძიების ყოველწლიურად ორგანიზების ტრადიციად ქცევისა და შემდგომი განვითარებისთვის.

სად
სამცხე-ჯავახეთი, ქ. ახალციხე, ახალციხის ციხის ტერიტორია

როდის
21 ოქტომბერი

„ელკანას“ წევრი ფერმერების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა „გუდვილში“

რა
"ელკანამ“ „გუდვილთან“ ერთად და „საერთაშორისო კულტურის სივრცის“ მხარდაჭერით, 24-ჯერ გამართა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ორდღიანი გამოფენა-გაყიდვა, სადაც „ელკანას“ წევრი ფერმერების ორგანული და აგროეკოლოგიური მეთოდებით წარმოებული პროდუქცია იყო წარმოდგენილი. წლის განმავლობაში ღონისძიებაში მონაწილეობდა „ელკანას“ 62 წევრი - მათ შორის - 18 ქალი.

სად
თბილისი, „გუდვილის“ მიმდებარე ტერიტორია

როდის
მთელი წლის განმავლობაში, თვეში 2-ჯერ

სვანური ყველის - ნარჩვის პოპულარიზაცია

ასოციაცია „ელკანა“ მონაწილეობდა პროექტში, რომელიც სვანური ტრადიციული ყველის - ნარჩვის აღდგენა-პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. „ელკანას“ ექსპერტების დახმარებით შეიქმნა ნარჩვის მწარმოებელთა ასოციაცია - „სვანური ნარჩვი“ და მომზადდა ნარჩვის წარმოების სპეციფიკაციის დოკუმენტი. მიმდინარე წელს ასოციაცია „სვანური ნარჩვის“ წევრმა ჩიტო კვიციანმა მესტიაში, სოფელ ფარში ხორბლის ქართული ენდემური სახეობა „დიკა“ მოიყვანა და 17 სექტემბერს თბილისში, მთაწმინდის პარკში გამართულ ყველის ფესტივალზე მოსულ სტუმრებს ქალბატონი ჩიტო გაუმასპინძლდა სვანური ტრადიციული კერძით - „ცხუნილარით“, რომელიც დიკას პურით და ნარჩვით იყო მომზადებული.

მცირე მეწარმეების ხელშეწყობა

ტრენინგი მეწარმეებისათვის

რა

„ელკანას“ კონსულტანტებმა ასოციაციის წევრი მეწარმეებისათვის ჩაატარეს ტრენინგი - მეწარმეობის განვითარება კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის დარგში. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მოდელებს და ამ ფონზე მეწარმეობის განვითარების პერსპექტივებს. ტრენინგს დაესწრო 30 პირი.

სად
თბილისი, „ელკანას“ ოფისი

როდის
31 იანვარი

■ ორგანული ფიჭის საწარმო გურიაში

ასოციაცია „ელკანას“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ლანჩხუთში, „ელკანას“ წევრის - თამაზ ღლონტის მეურნეობაში აშენდა და მოეწყო ორგანული ფიჭის საწარმო. პროექტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 37,820 ლარი, აქედან 14,700 ლარი გრანტად გასცა ასოციაცია „ელკანამ“. გრანტის ფარგლებში მეფუტკრემ შეიძინა და დაამონტაჟა ხელოვნური ფიჭის დანადგარი, ცვილის სადნობი კამერა, ცვილის სადნობი უჟანგავი ფოლადის ჭურჭელი.

■ თაფლის ჩამოსასხმელი საწარმო გურიაში

ასოციაცია „ელკანას“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ლანჩხუთში, „ელკანას“ წევრის - ავთანდილ ხუხუნაშვილის მეურნეობაში მოეწყო თაფლის ჩამოსასხმელი და დასაფასოებელი საწარმო. პროექტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 30,000 ლარი, საიდანაც 12,000 ლარი გრანტად გასცა ასოციაცია „ელკანამ“.

■ თაფლის ჩამოსასხმელი საწარმო კახეთში

ასოციაცია „ელკანას“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში გურჯაანში, „ელკანას“ წევრის - ნიკოლოზ ბიაშვილის მეურნეობაში მოეწყო თაფლის ჩამოსასხმელი და დასაფასოებელი საწარმო. პროექტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 22,880 ლარი, საიდანაც 10,180 ლარი გრანტად გასცა ასოციაცია „ელკანამ“. გრანტი მოხმარდა ჩამოსასხმელი აღჭურვილობის შეძენას.

■ ინკუბატორი კახეთში

ასოციაცია ,,ელკანას“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფშაველში, „ელკანას“ წევრის - შპს „საერთაშორისო კულტურის სივრცის“ მეურნეობაში მოეწყო ინკუბატორი ადგილობრივი ჯიშის ქათმის გასამრავლებლად. პროექტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 41,160 ლარი, საიდანაც 11,860 ლარი გრანტად გასცა ასოციაცია „ელკანამ“. გრანტი მოხმარდა ინკუბატორის აღჭურვილობის შეძენას.

■ მესხური ფურნე სამცხე-ჯავახეთში

ასოციაცია „ელკანას“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ღრელში, „ელკანას“ წევრის - ზაზა ივანიძის აგროტურისტულ მეურნეობაში მოეწყო მესხური ფურნე. პროექტის საერთო ღირებულებამ შეადგინა 10,710 ლარი, საიდანაც 5,210 ლარი გრანტად გასცა ასოციაცია „ელკანამ“. გრანტი მოხმარდა ფურნის აშენებას..

„ელკანას“ წევრების წარმატება

„ელკანას“ წევრების წარმატება საერთაშორისო ასპარეზზე

2023 წლის შემოდგომაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, სან-ფრანცისკოში, ამერიკულ ჟურნალში - Wine & Spiritz Magazine გამოქვეყნდა 2023 წლის 100 საუკეთესო ღვინის სია. ამ პრესტიჟულ სიაში, პირველად ჟურნალის ისტორიაში, მოხვდა ქართული ბრენდი - „ელკანას“ წევრი მარნის, „დო რე მის“ ღვინოები.

პირველი ბიოსერტიფიცირებული მარწყვი საქართველოში

„ელკანას“ წევრის, მანანა ანჯაფარიძის მარწყვის წარმოების მეურნეობა „პლანტველი“ ბიოსერტიფიკატის მფლობელი გახდა. დღეისათვის „პლანტველი“ პირველი და ერთადერთი ქართული კომპანიაა მარწყვის წარმოებაში, რომლის პროდუქცია ბაზარზე ბიოსტატუსით იყიდება.

„ელკანას“ წევრები ცქრიალა ღვინის ფესტივალზე

23 დეკემბერს მთაწმინდაზე, კლუბ „ანდერვილში“ უკვე მეორედ გაიმართა ცქრიალა ღვინის ფესტივალი. ფესტივალზე ღვინის მწარმოებლებმა წარმოადგინეს ყველა ტიპის ცქრიალა ღვინო - შამპანურის მეთოდი, პეტნატი (ნატურალური ცქრიალა), შარმას მეთოდი, შუშხუნა ღვინო. ფესტივალზე „ელკანას“ წევრების ღვინოებიც იყო წარმოდგენილი და მარანი „იორას“ ცქრიალა ღვინოებმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საერთაშორისო კონფერენცია „ორგანული სოფლის მეურნეობა და აგროეკოლოგია“

23 ივნისს ასოციაცია „ელკანას“ ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია - „ორგანული სოფლის მეურნეობა და აგროეკოლოგია“ (***www.conference.elkana.org.ge***). კონფერენცია „ელკანას“ დირექტორმა მარიამ ჯორჯაძემ და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა გახსნეს. სურსათისა და სოფლის მეურნეობის მსოფლიო ორგანიზაციის (FAO) რეგიონული წარმომადგენლის მოადგილემ რაიმუნდ იელემ სპეციალურად კონფერენციისთვის ვიდეომიმართვა გამოაგზავნა. კონფერენციას ასევე მიესალმნენ: HEKS-EPER-ის სამხრეთ კავკასიის დირექტორი ბექა ურუშაძე, დანიის საელჩოს ეკონომიკური მრჩეველი გიორგი ჭუმბურიძე, Brot fűr die Welt -ის წარმომადგენელი კიმ ნოელ კვიბუკა (გერმანია) და ევროკავშირის

წარმომადგენლობის სოფლის განვითარების პროგრამის მენეჯერი საქართველოში ქეთევან ხუციშვილი.

საერთაშორისო კონფერენციაზე განიხილეს ბიო/ორგანული და აგროეკოლოგიური სოფლის მეურნეობის როლი აგროსასურსათო სექტორის გაჯანსაღებასა და მის უფრო სამართლიან და ეკონომიკურად, სოციალურად და ეკოლოგიურად მდგრად სისტემად ჩამოყალიბებაში. დამსწრე საზოგადოებას თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს როგორც ადგილობრივმა, ისე საერთაშორისო ექსპერტებმა და ფერმერული გაერთიანებების წარმომადგენლებმა 12 ქვეყნიდან. კონფერენციას სამთავრობო, საერთაშორისო, სამოქალაქო და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ორგანული და აგროეკოლოგიური მეურნეობები, ბიოწარმოებაში ჩართული კომპანიები და სხვა დაინტერესებული 150-მდე მონაწილე ესწრებოდა.

კონფერენციის პარალელურად ფერმერთა მიერ წარმოებული ადგილობრივი, ორგანული და „ელკანას“ აგროეკოლოგიური ნიშნის მქონე პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

24 ივნისს, კონფერენციის შემდგომ დაგეგმილი კახეთის ტურის ფარგლებში, ტურის მონაწილეებმა მოინახულეს „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა სოფელ ზემო ხოდაშენში, გაეცნენ „ელკანას“ საქმიანობას და მონაწილეობა მიიღეს მესხური წითელი დოლის პურის ცხობის მასტერკლასში. შემდეგ კი ესტუმრნენ „ელკანას“ სოფლის ტურიზმის ქსელის წევრ აგროტურისტულ მეურნეობებს - „ლაგაზის ღვინის მარანსა და საცხობს“ სოფელ ზემო ალვანში და „ვარდის სახლს“ სოფელ არგოხში.

24-25 ივნისს, კონფერენციის შემდგომ დაგეგმილი სამცხე-ჯავახეთის ტურის ფარგლებში, ტურის მონაწილეებმა მოინახულეს სოფელ წნისში არსებული „ელკანას“ მეურნეობა - „მარცვლეულის კიდობანი“, გაეცნენ ორგანიზაციის საქმიანობას, დაათვალიერეს ხეხილის ადგილობრივი ჯიშების ბაღი, მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების საკოლექციო ნათესები და მონაწილეობა მიიღეს მესხური წითელი დოლის პურის ცხობის მასტერკლასში.

ტურის დროს ასევე ესტუმრნენ „ელკანას“ სოფლის ტურიზმის ქსელის წევრ აგროტურისტულ მეურნეობებს - „თირებს“, „ვალოდიას კოტეჯებს“ და „ალუდა ჯვარიძის მესხურ ოდას“.

„ელკანა“ საერთაშორისო ღონისძიებებზე

„ელკანა“ ბიოპროდუქციის საერთაშორისო გამოფენაზე

14-17 თებერვალს ასოციაცია „ელკანას“ თანამშრომლებმა და წევრმა მეფუტკრეებმა მონაწილეობა მიიღეს ბიოპროდუქტების საერთაშორისო გამოფენაში - „BioFach 2023“, რომელიც ყოველწლიურად იმართება გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში და მასში მონაწილეობენ ორგანული პროდუქტის მწარმოებლები, დაინტერესებული პირები და ვიზიტორები. გამოფენაში მონაწილეობა კარგი შესაძლებლობაა შეხვდე ორგანული პროდუქტის მწარმოებლებს, გაუზიარო გამოცდილება და დაამყარო საქმიანი ურთიერთობები.

მეფუტკრეები და „ელკანას“ თანამშრომლები შეხვდნენ და ესაუბრნენ ევროპელ და აზიელ მეფუტკრეებს, გაიზიარეს მათი გამოცდილება და დასახეს მომავალი თანამშრომლობის გზები.

.

„ელკანას“ გამოცდილების გაზიარება

„ელკანას“ ერთ-ერთი დონორის - Brot fűr die Welt-ის ორგანიზებულ ონლაინ კონფერენციაზე - „აგროეკოლოგია, კლიმატ-მედეგობა და გენდერი“ (On-line workshop: Agroecology, Climate Resilience & Gender,18 January, 2023), რომელიც 17-18 იანვარს გაიმართა, თამაზ დუნდუამ და მარიამ ჯორჯაძემ წარმოადგინეს პრეზენტაცია: „მივიწყებული მარცვლოვანი კულტურები - პასუხი კლიმატის ცვლილებაზე“. მათ კონფერენციის მონაწილეებს გაუზიარეს „ელკანას“ გამოცდილება ფერმერულ მეურნეობებში იმ ძველი მარცვლოვანი კულტურების აღდგენის თაობაზე, რომლებიც კლიმატური ცვლილებებისადმი მედეგნი არიან და მაღალი კვებითი ღირებულებებითაც გამოირჩევიან.
15 ივნისს „ელკანას“ გამოცდილების პრეზენტაცია გაიმართა მსოფლიო სურსათის ორგანიზაციის მეცნიერებისა და ინოვაციების რეგიონული კვირეულზე - „ფერმერთა უფლებები თესლეულზე“.
26 სექტემბერს ENPARD-ის პროგრამის პარტნიორებისთვის გაიმართა პრეზენტაცია საქართველოში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ.
ასევე, მარიამ ჯორჯაძე მიწვეული იყო და მონაწილეობა მიიღო საპანელო დისკუსიებში:

- მსოფლიო სურსათის ორგანიზაციის მეცნიერებისა და ინოვაციების რეგიონული კვირეულზე; ბუდაპეშტი, 2-6 ოქტომბერი;
- გაეროს ეკონომიკური და სოციალური კომისიის აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონისთვის ორგანიზებულ ჩრდილოეთი და ცენტრალური აზიის მეშვიდე ფორუმზე, რომელიც მიეძღვნა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას; ალმა-ატა, 31 ოქტომბერი - 3 ნოემბერი.

ტრენინგი „ხარჯი და სარგებელი მოკლე სასურსათო ჯაჭვებში“

16-18 თებერვალს იტალიის ქალაქ ფლორენციაში, ფლორენციის უნივერსიტეტში, გაიმართა ორდღიანი ტრენინგი „ხარჯი და სარგებელი მოკლე სასურსათო ჯაჭვებში“, რომლის მიზანი იყო მცირე მეურნეებისა და მათი წარმომადგენელი ორგ

ანიზაციების შესაძლებლობების განვითარება, მოკლე სასურსათო ჯაჭვებში მათი უფრო ეფექტიანად ჩართულობისა და პოზიციონირებისათვის. ტრენინგი ჩატარდა პროექტის ფარგლებში - „თანამშრომლობა აგროსასურსათო ჯაჭვებში“ (COACH), რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა. ღონისძიებაში „ელკანას“ ორი თანამშრომელი და მოკლე სასურსათო ჯაჭვის პროექტში ჩართული სამი მწარმოებელი მონაწილეობდა. მათ სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენის სამუშაო სესიაზე ტრენინგის მონაწილეებს გაუზიარეს აგრარული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პროგრამის განხორციელების გამოცდილება. ტრენინგის პროგრამა მოიცავდა ვიზიტს ქალაქ პრატოში და მის შემოგარენში, სადაც მონაწილეები შეხვდნენ „გრანპრატოს“ (GranPrato) მოკლე სასურსათო ჯაჭვში ჩართულ მწარმოებლებს და ესტუმრნენ ფერმერთა ბაზრობას.

პროექტის - „თანამშრომლობა აგროსასურსათო ჯაჭვებში“ (COACH) შემაჯამებელი შეხვედრა 1-3 ივნისს ბრიუსელში ჩატარდა, რომელსაც „ელკანას“ ერთი თანამშრომელი დაესწრო.

საერთაშორისო ბიზნესკონფერენცია „კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მოდელები და საუკეთესო პრაქტიკები შავი ზღვის აუზში“

ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია 21-22 მარტს ბულგარეთის ქალაქ დობრიჩში გაიმართა პროექტის ფარგლებში - „ტრანსსასაზღვრო ალიანსი კლიმატგონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისთვის შავი ზღვის აუზში“ (AGREEN), რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა. ღონისძიება ჩატარდა პროექტის წამყვანი პარტნიორის - დობრუჯას აგრარული და ბიზნეს-სკოლის ასოციაციის (DABS) ორგანიზებით. კონფერენციაში „ელკანას“ ოთხი თანამშრომელი და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ფერმერ ქალთა ჯგუფის წარმომადგენელი მონაწილეობდნენ. „ელკანას“ წარმომადგენლებმა გააკეთეს პრეზენტაცია პროექტის, AGREEN-ის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წნისში, „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა - „მარცვლეულის კიდობანში“ განხორციელებულ სინტროპული სოფლის მეურნეობისა და ბიოხორბლის მოყვანის მოდელების შესახებ და მონაწილეებს გაუზიარეს მოდელების განხორციელების შედეგები და დასკვნები. ასევე წარადგინეს პრეზენტაცია „ელკანას“ ორი საკონსერვაციო მეურნეობის - „მარცვლეულის კიდობნის“ (სოფელი წნისი, ახალციხის მუნიციპალიტეტი) და შინაურ ცხოველთა ფერმის (სოფელი ზემო ხოდაშენი, ახმეტის მუნიციპალიტეტი) თაობაზე. პრეზენტაცია წარადგინა ასევე ქალთა ჯგუფის

წარმომადგენელმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან. მან ისაუბრა აგრარული ბიომრავალფეროვნებისა და

სოფლის განვითარებაში თავისი როლის შესახებ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივ ფერმერ ქალთა ჯგუფის საქმიანობისა და გამოცდილების მაგალითზე. კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა საველე ვიზიტები ურბანული მებოსტნეობის სოციალურ საწარმოში და ასევე საოჯახო მეურნეობაში - „თაფლის სახლი“.

ამავე პროექტის დახურვის ღონისძიება თესალონიკში გაიმართა 15-18 მარტს, რომელსაც „ელკანას“ სამი თანამშრომელი დაესწრო.

„ბილიმი“ - აგროეკოლოგიის პირველი ფორუმი აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში

10-14 ივლისს თურქეთის ქალაქ ბურსაში (ნილიუფერის მუნიციპალიტეტი) გაიმართა აგროეკოლოგიის პირველი ფორუმი აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში - „ბილიმი“, რომელსაც ესწრებოდნენ ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენლები. „ბილიმი“ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის აგროეკოლოგიური ორგანიზაციების ალიანსია. ის აერთიანებს რიგით მოქალაქეთა მოძრაობებს, ორგანიზაციებს და ჯგუფებს, მათ შორის - გლეხებს და მცირე ფერმერებს, მკვიდრ მოსახლეობას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამეცნიერო საზოგადოებას, ქალებს, ახალგაზრდებს და ყველას, ვინც აქტიურად არის ჩართული აგროეკოლოგიურ საქმიანობაში. ფორუმზე წარმოდგენილი იყო 22 ორგანიზაცია ოთხი ძირითადი რეგიონის - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, დასავლეთ ბალკანეთის, სამხრეთ კავკასიის, დასავლეთ აზიისა და ცენტრალური აზიის - 18 ქვეყნიდან. ფორუმს ესწრებოდნენ და მისი მხარდამჭერები იყვნენ სხვა ორგანიზაციებიც, მათ შორის - FAO-ს ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისი, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი და „ჯენგალაბი“. ფორუმის ორგანიზებაში მთავარი როლი შეასრულეს პლატფორმის ინიციატორმა ორგანიზაციებმა - „სკოლა კამპესინამ“ (იტალია), „ეკორურალიმ“ (რუმინეთი), განვითარების ინიციატივების სააგენტომ (ყირგიზეთი) და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანამ“.

„ბილიმის“ ფარგლებში „ელკანა“ რეგულარულად მონაწილეობს აგროეკოლოგიური ცოდნის გაზიარების ღონისძიებებში. 2023 წლის განმავლობაში ცოდნის გაზიარების 8 შეხვედრა გაიმართა, 23 თებერვალს გამართული შეხვედრა კი სრულად „ელკანას“ გამოცდილებას მიეძღვნა. შეხვედრაზე პრეზენტაცია მარიამ ჯორჯაძემ წარადგინა.

ამავე ქსელის ინიციატივით 23-26 იანვარს სტამბოლში ჩატარდა ტრენინგი - გაერთიანებული ერების დეკლარაცია გლეხებისა და სოფლად მომუშავე სხვა პირების უფლებების შესახებ, რომლის თანაორგანიზატორი და ერთ-ერთი მომხსენებელი „ელკანაც“ იყო. ტრენინგი საგანგებოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გაიმართა. ჩვენი ქვეყნიდან ტრენინგს დაესწრნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან - ეკა ზვიადაძე და აგრარული კომიტეტიდან - ნინო ქორიძე, ასევე, „ელკანას“ ორი თანამშრომელი.

„ელკანა“ ევროპის სოფლის ტურიზმის IV საერთაშორისო კონფერენციაზე

11, 12 და 13 მაისს აჭარაში, ბათუმში, პირველად გაიმართა ევროპის სოფლის ტურიზმის ფედერაციის, RuralTour-ის (EuroGite) გენერალური ასამბლეა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ RuralTour-ის წევრი ორგანიზაციები. მათ შორის იყო „ელკანაც“, რომელიც ფედერაციის წევრია 2008 წლიდან. ამ ღონისძიების ფარგლებში გამართულ სოფლის ტურიზმის IV საერთაშორისო კონფერენციაზე

ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა წარადგინეს პრეზენტაციები და გამართეს დისკუსიები სოფლის ტურიზმის განვითარების პერსპექტივების შესახებ. „ელკანას“ სოფლის ტურიზმის ექსპერტებმა კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინეს პრეზენტაცია და გაუზიარეს ჩვენი ორგანიზაციის გამოცდილება საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, სოფლის ტურიზმის ქსელის მუშაობისა და აგროტურისტული მეურნეობების კატეგორიზაციის შესახებ.

„ელკანა“ ეროვნული პლატფორმის ორგანიზებულ შეხვედრებში

25 ივლისს ასოციაცია „ელკანა“ მონაწილეობდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და საქართველოს პარლამენტის პირველ ერთობლივ

კონფერენციაში „საქართველოს გზა ევროკავშირისკენ“ (https://eap-csf.ge/index.php/2023/07/26/georgias-road-to-the-european-union/), რომელიც ჩატარდა „მულტიფუნქციურ სივრცეში - „რესპუბლიკა“. კონფერენცია მიეძღვნა საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას და მასზე განიხილეს ევროკავშირის 12 რეკომენდაცია და მისი შესრულების პროგრესი.

22 ნოემბერს „ელკანამ“ მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმისა და საქართველოს პარლამენტის მესამე ერთობლივ კონფერენციაში - „საქართველოს გზა ევროკავშირისკენ“ (https://eap-csf.ge/index.php/2023/11/22/3rd-joint-conference/), რომელიც სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გაიმართა. ერთობლივი კონფერენციის მთავარ თემებს წარმოადგენდა ევროკომისიის დადებითი რეკომენდაცია კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე და 9 ახალი გამოწვევა.

ასოციაცია „ელკანამ“ მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-12 საერთო კრებაში (**https://eap-csf.ge/index.php/2023/12/22/12th-general-meeting/**), რომელიც 19 დეკემბერს სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ თბილისში“ გაიმართა. კრებაზე დაწვრილებით განიხილეს ეროვნული პლატფორმის წესდება და მასში შევიდა ცვლილებები. ასევე ჩატარდა პლატფორმის თანათავმჯდომარეების, სამუშაო ჯგუფების კოორდინატორების, ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის და დავების განმხილველი ორგანოს წევრების არჩევნები. „ელკანამ“, პლატფორმის წევრ სხვა 5 ორგანიზაციასთან ერთად, მონაწილეობა მიიღო საარჩევნო კომისიის მუშაობაში.

„ელკანას“ ახალციხის ოფისის მონაწილეობა ადგილობრივ ღონისძიებებში

რა

„ელკანას“ ახალციხის ოფისი ქალაქ ახალციხეში ორგანიზებულ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში და „ღვინის დღეების“ ფესტივალში მონაწილეობდა. ღონისძიებების ფარგლებში „ელკანამ“ ადგილობრივი პროდუქტების საგამოფენო სივრცეში წარმოადგინა ხორბლის ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშების, მათ შორის: ახალციხის წითელი დოლის, ჯავახეთისა და ქართლის დიკას, ჩელტა და

გვაწა-ზანდურის, მახას რამდენიმე სახესხვაობის, კოლხური ასლის თავთავების კონები; სელისა და პარკოსანი კულტურების: ცულისპირას, მუხუდოს, ცერცვის, ძაძას მარცვლეულის ნიმუშები, ასევე - ორგანიზაციის პუბლიკაციები. ადგილზე, თონეში გამოცხვა ახალციხის წითელი დოლის პური, რომელიც ღონისძიებების სტუმრებმა სიამოვნებით დააგემოვნეს.

სად
სამცხე-ჯავახეთი, ქალაქი ახალციხე

როდის
26 მაისი და 10 ოქტომბერი

■ ტრენინგი „ჩვენ ერთად ვაშენებთ ფემინისტურ ეკონომიკას“

6–9 ივნისს საკონსერვაციო მეურნეობა - „მარცვლეულის კიდობანში“ (სამცხე-ჯავახეთი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელი წნისი), „ელკანამ“ ორგანიზება გაუწია საერთაშორისო ფემინისტური ორგანიზაციის, World March of Women (WMW) ოთხდღიან ტრენინგს - „ჩვენ ერთად ვაშენებთ ფემინისტურ ეკონომიკას“, რომლის ძირითადი თემები იყო: აგროეკოლოგიისა და ფემინიზმის ურთიერთკავშირი და ქალთა როლი ფერმერულ მეურნეობებში. ტრენინგს ესწრებოდნენ ქალები თურქეთიდან, საქართველოდან, პოლონეთიდან, მექსიკიდან, ყირგიზეთიდან, უნგრეთიდან, ჩრდილოეთ მაკედონიიდან, ეგვიპტიდან, მოლდოვიდან და ირანიდან - სულ 26 პირი. ისინი ჩართულნი არიან სურსათის წარმოების, სურსათის სუვერენიტეტის, აგროეკოლოგიის და ორგანული სოფლის მეურნეობის საქმიანობებში. ტრენინგის მონაწილეთა შორის იყვნენ „ელკანას“ თანამშრომლები და წევრი ფერმერი ქალები - სულ 7 პირი.

■ ტრენინგი კლიმატისა და კატასტროფის რისკების მონაწილეობითი შეფასების თემაზე (PACDR)

ასოციაცია „ელკანამ“ პროექტის ფარგლებში - „ორგანული სოფლის მეურნეობის სოფლის განვითარებისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშეწყობა საქართველოში“ - 26 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით სამცხე-ჯავახეთში, წნისში, „ელკანას“ საკონსერვაციო მეურნეობა - „მარცვლეულის კიდობანში“ კლიმატისა და კატასტროფის რისკების მონაწილეობითი შეფასების თემაზე 6-დღიანი ტრენინგი ჩაატარა საერთაშორისო ორგანიზაციებთან - „პური მსოფლიოსთვის“ (BfdW) და FAKT Consult-თან თანამშრომლობით. ტრენინგს წარუძღვა FAKT Consult-ის

კონსულტანტი გოტფრიდ ჰორნებერი. ტრენინგში მონაწილეობდნენ BfdW-ის პარტნიორი ორგანიზაციების 10 თანამშრომელი საქართველოდან და სომხეთიდან და ასევე ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლების - წნისისა და კლდის 18 წარმომადგენელი.

■ სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა ახალციხეში

რა

ასოციაცია „ელკანას“ ახალციხის ოფისი მონაწილეობდა სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ შეხვედრაში, რომელიც ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების და სპორტის სამსახურისა და ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები მეწარმე და ფერმერული მეურნეობების მფლობელი ქალები, საქართველოს პარლამენტის დეპუტატები, სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრის მონაწილეებმა სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მნიშვნელობასა და ხელშეწყობის შესაძლებლობებზე იმსჯელეს, გაეცნენ წარმატებულ ფერმერ ქალთა ისტორიებს. აღინიშნა, რომ სოფლად მცხოვრები მეწარმე ქალები თავიანთი საქმიანობით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და გაძლიერებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობების წარდგენისთვის განსაზღვრულ სივრცეში ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენელმა ორგანიზაციის თაობაზე პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაცია მოიცავდა ინფორმაციას „ელკანას“ ახალციხის ოფისის შესახებ და ორგანიზაციის საქმიანობების მიმოხილვას, რომლებშიც სოფლად მცხოვრებ ქალებს შეუძლიათ ჩართვა. აღინიშნა, რომ ასოციაცია „ელკანა“ ხელს უწყობს, ახალისებს და მიესალმება ორგანიზაციის საქმიანობებში სოფლად მცხოვრები ქალების მონაწილეობას.

სად

სამცხე-ჯავახეთი, ქ. ახალციხე

როდის

8 ნოემბერი

■ მთის საერთაშორისო დღე

14 დეკემბერს მთის რეგიონების მდგრადი განვითარების კავკასიის ქსელის ორგანიზებით თბილისში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა მთის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. მასში მონაწილეობდა „ელკანა“ და დამსწრეებს ასოციაციის წევრი ფერმერების წარმოებული მთის პროდუქტების გამოფენა-დეგუსტაცია შესთავაზა.

სოფლის ტურიზმი

■ ტრენინგების კურსი თიანეთში

რა

ასოციაცია „ელკანას“ ექსპერტებმა თიანეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის სექტორში დასაქმებული პირებისთვის ექვსდღიანი სასწავლო კურსი ჩაატარეს თემაზე „სოფლის ტურიზმი“. ტრენინგი ექვს ცალკეულ ერთდღიან სესიად ჩატარდა და მას 108 მონაწილე დაესწრო, მათ შორის 90 ქალი. პროგრამა თეორიულ პრეზენტაციებსა და პრაქტიკულ სავარჯიშოებს აერთიანებდა, რაც მონაწილეებს სოფლის ტურიზმის განვითარების, მომსახურების გაუმჯობესებისა და მდგრადი პრაქტიკის შესახებ სიღრმისეულ ცოდნას სთავაზობდა. გარდა ამისა, სესიებმა მონაწილეებს ადგილზე კონსულტაციების მიღებისა და გამოცდილების ერთმანეთთან გაზიარების შესაძლებლობა მისცა.

სად

თიანეთის მუნიციპალიტეტი, დაბა თიანეთი

როდის

გაზაფხულიდან შემოდგომის ბოლომდე

საინფორმაციო ტური თიანეთში

2023 წლის 31 მაისსა და 1 ივნისს მცხეთა-მთიანეთში, თიანეთის მუნიციპალიტეტში, ჩატარდა ტურისტული საინფორმაციო ტური, რომლის მიზანი იყო ტურისტული სექტორისა და მედიის წარმომადგენლებისათვის რეგიონის ტურისტული პოტენციალისა და აგროტურისტული ობიექტების გაცნობა. ასოციაცია „ელკანამ“ საინფორმაციო ტური გამართა პროექტის ფარგლებში - „ორგანული სოფლის მეურნეობისა და სოფლის ტურიზმის განვითარება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში“, რომელიც დააფინანსა ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ორგანიზაციამ. ტურის მონაწილეებმა მოინახულეს დაბა თიანეთის მიმდებარე სოფლებში და დაბა სიონში „ელკანას“ ხელშეწყობით მოწყობილი საოჯახო სასტუმროები და აგროტურისტული მეურნეობები, დააგემოვნეს ადგილობრივი კერძები. ასევე, დაათვალიერეს თიანეთის მუნიციპალიტეტის კულტურული ძეგლები, ღირსშესანიშნაობები და მონაწილეობა მიიღეს საცხენოსნო ტურში, რომელშიც სულ 12 პირი მონაწილეობდა.

გერმანელი ტურისტები სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში

ექსკლუზიური 11-დღიანი ტური საქართველოში ტურისტული კომპანია „ჯორჯია ინსაითის“ ორგანიზებითა და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მხარდაჭერით, ჰაინც გენგენბახთან და გიუნთერ ზემლერთან ერთად მიმდინარეობდა.

11 სექტემბერს გერმანელი ტურისტების 30-კაციანი ჯგუფი „ელკანას“ შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო მეურნეობას ესტუმრა სოფელ ზემო ხოდაშენში. ტურისტებმა დაათვალიერეს მეურნეობა, გაეცნენ „ელკანას“ საკონსერვაციო საქმიანობას, მონაწილეობა მიიღეს ცხოველების გამოკვებაში და დააგემოვნეს დიკას, შავფხასა და წითელი დოლის პური და ასევე, ძველი ქართული კულტურებისგან მომზადებული კერძები.

14 სექტემბერს გერმანელი ტურისტები „ელკანას მარცვლეულის კიდობანს“ ესტუმრნენ სამცხე-ჯავახეთში, სოფელ წნისში. ტურისტებმა დაათვალიერეს მეურნეობა, გაეცნენ „ელკანას“ საკონსერვაციო საქმიანობას, ნახეს მარცვლოვანი და სამარცვლე პარკოსანი კულტურების ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშების საკოლექციო ნათესები, ხორბლის ხუთი ენდემური სახეობის თავთავების ნიმუშები, ვაშლისა და მსხლის ადგილობრივი ჯიშების ბაღი და სანერგე.

ტურისტებმა მონაწილეობა მიიღეს ახალციხის წითელი დოლისა და დიკას პურის ცხობასა და მესხური აპოხტის ხინკლის მომზადების მასტერკლასში. მესხური სამზარეულოს ერთ-ერთი გამორჩეული კერძის - აპოხტის ხინკლის მასტერკლასი „ელკანას“ წევრმა ფერმერმა - ზაზა ივანიძემ ჩაატარა. ტურისტებმა გასინჯეს წითელი დოლისა და დიკას ფქვილით გამომცხვარი სურნელოვანი პური, პარკოსანი კულტურების მარცვლეულით მომზადებული კერძები და ადგილობრივი ჯიშის ვაშლები.

■ თიანეთის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა

2023 წელს „ელკანას“ ხელშეწყობით განახლდა თიანეთის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა. დოკუმენტის განხილვა-განახლებაში მონაწილეობდა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: „ელკანას“ ექსპერტები, თიანეთის მერიის წარმომადგენლები, ადგილობრივ ბიზნესში, მათ შორის ტურისტულ ბიზნესში ჩართული პირები. „ელკანას“ ექსპერტთა გუნდის წევრებმა სამუშაო ჯგუფს ჩაუტარეს თემატური ტრენინგები თანამონაწილეობით დაგეგმვასა და გარემოს დაცვაზე; ასევე, მოეწყო სასწავლო ვიზიტები დედოფლისწყაროსა და თეთრიწყაროში. სამუშაო ჯგუფი მონაწილეობდა თემატურ დისკუსიებში და ფოკუს-ჯგუფის გამოკითხვებში. თიანეთის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის განახლების შედეგად შეირჩა და „ელკანას“ ხელშეწყობით განხორციელდა 3 ინფრასტრუქტურული პროექტი: სოფელი არტაანიდან პანკისის გადასახვევამდე 29 კმ-იანი

ბილიკის მარკირება, მიმართულების მანიშნებელი 12 აბრის მონტაჟი დაბა თიანეთსა და სიონში, ასევე დაბა თიანეთსა და სიონში ორი საპიკნიკე სივრცის მოწყობა.

პუბლიკაციები

- კალენდარი 2024



- მნიშვნელოვანი მოვლენები/სიახლეები - 2022

- ტრანსასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატგონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისათვის

წლიური შემოსავალი და ხარჯები

ვალუტა: ევრო

	2023 წელი
საწყისი ნაშთი	497,637
შემოსავალი	
დონორები/პროექტები	
Brot fur die welt	288,661
HEKS EPER	336,101
BP	133,011
GRETA	9,589
GIP	21,196
Other	13,279
საწევრო შენატანები	2,731
შემოწირულობა	10,726
სხვა შემოსავალი	32,486
მთლიანი შემოსავალი	**847,779**
ხარჯები	
პროექტის აქტივობები (ტრენინგები, სემინარები და ა.შ.)	672,438
ინვესტიციები, თანადაფინანსება	175,492
ადმინისტრაციული ხარჯები	168,876
სხვა ხარჯები	77,839
მთლიანი ხარჯი	**1,094,645**
საბოლოო ნაშთი	250,771

მარიამ ჯორჯაძე
დირექტორი